საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-541

29/06/2020

ქ. თბილისი

შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებაზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „მანიზე“ გადაცემის შესახებ

2020 წლის 12 ივნისს ერთობლივი განცხადებით მოგვმართეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგების“ და შპს „მანის“ დირექტორებმა. შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებამ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „მანიზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

სამინისტროს მიერ შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგების“ ნავთოპროდუქტების საცავზე გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №13; 22.02.2008; თბილისი, ქიზიყის ქ. №21) და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-478; 20.06.2018. 2018 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „იბერკომპანის“. 2020 წლის 15 აპრილს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „იბერკომპანისგან“ გადაეცა შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებას“. (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-342).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგების“ ნავთობპროდუქტების საცავზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „მანის“;

2. შპს „მანიმ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 20 ივნისის №2-478 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „იბერკომპანიზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებაზე“ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 15 აპრილის №2-342 ბრძანება;
4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებასა“ და შპს „მანის“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ივ-პურპროდუქტმომარაგებისა“ და შპს „მანის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი